საშინაო დავალება #2

## ნაწილი 1: მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები

ცხრილში მოცემულია ფასები და ბურგერებზე მოთხოვნისა და ბურგერების მიწოდების რაოდენობა. ამ მონაცემების მიხედვით, ააგეთ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები.

| ფასი ლარებში (P) | მოთხოვნის რაოდენობა (Q) |
|---|---|
| 1 ₾ | 25 |
| 5 ₾ | 20 |
| 7 ₾ | 15 |
| 10 ₾ | 10 |
| 15 ₾ | 5 |

| ფასი ლარებში (P) | მიწოდების რაოდენობა (Q) |
|---|---|
| 1 ₾ | 0 |
| 5 ₾ | 10 |
| 7 ₾ | 15 |
| 10 ₾ | 20 |
| 15 ₾ | 25 |

*შენიშვნა:  ფასები (P) აღნიშნულია ვერტიკალურ ღერძზე, მოთხოვნისა და მიწოდების რაოდენობა (Q) კი - ჰორიზონტალურზე. საკოორდინატო სიბრტყეზე ჯერ მონიშნეთ თითოეული ფასისა და ამ ფასის შესაბამისი მოთხოვნის რაოდენობის გადაკვეთის წერტილები. შემდეგ კი შეაერთეთ ეს წერტილები - ასე მიიღებთ მოთხოვნის მრუდს. ამის შემდეგ, მონიშნეთ თითოეული ფასისა და ამ ფასის შესაბამისი მიწოდების რაოდენობის გადაკვეთის წერტილები. შემდეგ კი შეაერთეთ ეს წერტილები - ასე მიიღებთ მიწოდების მრუდს.*



## ნაწილი 2: წონასწორული ფასი და რაოდენობა

თქვენ მიერ აგებული მრუდების მიხედვით უპასუხეთ:

1. რამდენია ბურგერის წონასწორული ფასი? ---------------------------------

2. რამდენია ბურგერის წონასწორული რაოდენობა? ---------------------------------

## ნაწილი 3: ფასის ზღვრის დაწესება

1. წარმოიგინეთ, სახელმწიფო აწესებს ფასის ქვედა ზღვარს (მინიმალურ ფასს) - 10 ლარს.

რამდენი იქნება ამ შემთხვევაში სიჭარბე? -----------------------------------------

2. წარმოიდგინეთ, სახელმწიფო აწესებს ფასის ზედა ზღვარს (მაქსიმალურ ფასს) – 5 ლარს.

რამდენი იქნება ამ შემთხვევაში დეფიციტი? -----------------------------------------